

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 40**

ქ. თბილისი

14.09.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სხდომის მდივანი;

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლომაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები :

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:

გოდერძი ბუჩაშვილი - პრორექტორი საგარეო ურთიერთობების დარგში;

დინა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თეა კბილცეცხლაშვილი - ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი;
ავთანდილ გაგნიძე - პროგრამების ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ბექა მარუაშვილი;
ნინო ზარნაძე;
ნიკოლოზ ყაველაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:30 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა. სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს - ლევან გორდეზიანს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი. წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები (ინგლისურენოვანი)
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში 0204
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პანთელის იესილანთისმა, ვიდეო ზარის მეშვეობით ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებების ირგვლივ და აღნიშნა, რომ მათი რეკომენდაციები და რჩევები იყო 2 სახის, ტექნიკური და შინაარსობრივი. ტექნიკური საკითხები ეხებოდა სტუდენტთა ფინანსურ დახმარებას, პროგრამის შემუშავებისას კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ეფექტური ჩართულობის მექანიზმების შექმნას, სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობის გასწორებას და სხვ. რაც შეეხებოდა შინაარსობრივ საკითხებს, აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურა მოითხოვდა დახვეწას და განვითარებას. კერძოდ, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები უნდა გაუმჯობესებულიყო, გამხდარიყო უფრო მოქნილი და ლაკონური. აღნიშნული საკითხი გახლდათ მნიშვნელოვანი, რადგან იგი განსაზღვრავდა შინაარსს, სწავლების მიდგომებსა და კონკრეტული კურსის სწავლის შედეგებს. ასევე უნდა მომხდარიყო ზოგიერთი სასწავლო კურსის სტატუსის შეცვლა. პროგრამის დარგობრივი მოდულის გაძლიერებისათვის, ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსი გადატანილ უნდა ყოფილიყო სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შედეგებზე და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იყო შემუშავებულიყო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის უკეთესი მარკეტინგული სტრატეგია, მომხდარიყო აქტიური პარტნიორების შერჩევა და აკადემიური პერსონალი მეტად ყოფილიყო ჩართული გაცვლით ურთიერთობებში. რაც შეეხებოდა აკადემიურ პერსონალს, გახლდათ მაღალკვალიფიციური. თუმცა, დაწესებულებას უნდა ეზრუნა აკადემიური პერსონალის განვითარებისათვის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. მიზანშეწონილი იქნებოდა პერსონალისათვის დაგეგმილი ყოფილიყო სამუშაო შეხვედრები სწავლის შედეგების განსაზღვრისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. ასევე, სასარგებლო იქნებოდა პროგრამის განმახორციელებელი მთლიანი პერსონალი და სხვა დაინტერესებული მხარეები უფრო აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულები პროგრამის შედგენასა და განვითარებაში. საერთო ჯამში, პროგრამით დასახული მიზნები იყო მიღწევადი, რეკომენდაციების შედეგად პროგრამა გაუმჯობესდებოდა. პროგრამის ადმინისტრირების გუნდი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი მუშაობდა მის შემდგომ გაუმჯობესებაზე, ხდებოდა ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება უკუკავშირის მეშვეობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა ავთანდილ გაგნიძემ განაცხადა, რომ ტექნიკური ხასიათის შენიშვნებზე აღარ გაამახვილებდა ყურადღებას. შესაბამისად, მან ისაუბრა ინტერნაციონალიზაციის საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტთა მოსაზრებით ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი უფრო ძლიერად იყო წარმოდგენილი მენეჯმენტის პროგრამისათვის. მიზეზი მდგომარეობდა შემდეგში - გაცვლით პროგრამებთან დაკავშირებით უცხოური უნივერსიტეტების მხრიდან მოთხოვნა უფრო მეტი იყო მენეჯმენტის დარგის საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში. ამიტომ, მენეჯმენტის პროგრამის სტუდენტთა ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, უფრო მეტად იყო გამოხატული.

ავთანდილ გაგნიძემ ასევე ისაუბრა პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში პერსონალის ჩართულობაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება სისტემატიურად ახდენდა პერსონალის შეხვედრებს სხვადასხვა საორიენტაციო საკითხებზე. მოწვეულ პერსონალს თავისი სტატუსიდან გამომდინარე ვერ სთხოვდნენ პროგრამის შემუშავებაში/განვითარებაში სრულ ჩართულობას. ისინი მეტად იყვნენ ჩართულები თავისი სილაბუსების ირგვლივ შინაარსობრივ საკითხების განსაზღვრაში. თუმცა, მთლიანობაში, პროგრამის ერთიანი სტრუქტურის შედგენაში მათი მონაწილეობა ნაკლები იყო. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ერთ-ერთი მიმართულების პედაგოგის მიერ ცვლილების შეტანა პროგრამის შინაარსში/სილაბუსში, იწვევდა სხვა მიმართულების შინაარსობრივი საკითხების ცვლილებას და ამასაც ითვალისწინებდნენ პროგრამაზე მუშაობისას.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა, თუ როგორ დაადგინეს ექსპერტებმა მოწვეული პერსონალის პროგრამის შემუშავებაში და განვითარებაში ჩართულობის საკითხი.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის შეფასება ექსპერტების მიერ მოხდა ინტერვიუების ფარგლებში. როცა ექსპერტებს პერსონალთან ჰქონდათ შეხვედრა,

ერთ-ერთმა პედაგოგმა გასაუბრების მსვლელობისას აღნიშნა, რომ თავის სილაბუსებთან დაკავშირებით მუშაობა უფრო ეხებოდა, ვიდრე მთლიანი პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა. ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად, პროგრამაში მოცემული კონკრეტული 3 არჩევითი სასწავლო კურსი სასურველია გამხდარიყო სავალდებულო სტატუსის. ამ სასწავლო კურსებიდან, ერთ-ერთი მიმდინარე სემესტრში არჩეული ჰქონდა სტუდენტთა უმეტეს ნაწილს (54 სტუდენტი). შესაბამისად, ეს უკვე ნიშნავდა ამ კურსის სავალდებულო სტატუსით განისაზღვრა.

ექსპერტთა დასკვნაში ასევე აღნიშნული იყო რეკომენდაცია ლიტერატურის განახლების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად მუშაობდა ლიტერატურის განახლებისათვის. ამჟამად უახლესი ლიტერატურა არ იყო წარმოდგენილი, თუმცა უკვე შეკვეთილი გახლდათ. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა დამსაქმებელთან ურთიერთობაზე, აღნიშნა, რომ საკმაოდ კარგად ჰქონდათ ურთიერთობა აწყობილი. ოღონდ ექსპერტთა მიერ საუბარი იყო ამ ურთიერთობების სისტემატიური და ფორმალური ხასიათის მიცემაზე. მათ ჰქონდათ მუდმივმოქმედი კომიტეტების შექმნის გეგმა და დამსაქმებელთან ურთიერთობებს შემდგომში ეს კომიტეტი უხელმძღვანელებდა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა ისაუბრა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესახებ. ასევე აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიში წარმოდგენილი იყო ძველი სახით, ამიტომ იყო ნაკლებად ანალიტიკური და ინფორმატიული. ახლანდელი არსებული ფორმატი უკვე თავისთავად მოითხოვდა საკითხების გავრცობას და ანალიტიკურ სახის მიცემას.

პროგრამის ხელმძღვანელმა დამატებით ისაუბრა სასწავლო კურსის „ოპერაციათა მენეჯმენტის“ შესახებ. ექსპერტთა რეკომენდაცია ამ კურსთან დაკავშირებით შემდგომში იქნებოდა გაზიარებული. ასევე ეთანხმებოდნენ ექსპერტთა მოსაზრებებს სასწავლო კურსის „ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიზნესში“ სტატუსის სავალდებულოთი შეცვლის შესახებ. ხოლო სასწავლო კურსის „ხარისხის მენეჯმენტის“ სტატუსი, მათი მოსაზრებით მაინც უნდა დარჩენილიყო არჩევითი სახით. პერსონალთან დაკავშირებულ ტრენინგებზე აღსანიშნავი იყო, რომ პერსონალი ყოველთვის გეგმავდა დარგობრივ საორიენტაციო შეხვედრებს და ერთმანეთს უზიარებდნენ სხვადასხვა საკითხებს/სიახლეებს. პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა აკრედიტაციის პროცესის დადებითი მხარის შესახებ და აღნიშნა, რომ ძალიან სასარგებლო იყო მათთვის ამგვარი აკადემიური ურთიერთობები.

საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები სასარგებლო იყო დაწესებულების მუშაობისა და შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული შეფასებები უნდა დარჩენილიყო უცვლელად. აქედან გამომდინარე, ვინაიდან, პროგრამა 2 სტანდარტთან მიმართებით ფასდებოდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, დაწესებულებას, აკრედიტაციის დებულების თანახმად, მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე 1 წლის განმავლობაში უნდა წარმოედგინა ანგარიში.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 1 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 1 წლის ვადაში პროგრამაზე ასევე განხორციელებულიყო მონიტორინგი და გადამოწმებულიყო გამოსწორდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას განუცხადა, რომ ამ დროის მანძილზე უნდა ეზრუნათ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებაზე.

2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი (ინგლისურენოვანი)
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ძირითადი მიგნებები ზოგადი მოსაზრებების ნაწილში საერთო იყო ფინანსების (ინგლისურენოვანი) და მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში. ზოგადად ისაუბრა პროგრამის მიზნებზე და სწავლის შედეგებზე, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების საჭიროებაზე, დამსაქმებელთა პროგრამაში ჩართვის გააქტიურებაზე. დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები უნდა გაძლიერებულიყო როგორც საინფორმაციო სისტემების მართვის, ასევე ოპერაციათა მართვის მიმართულებით. ეს უკანასკნელი ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად ფუნქციურ სფეროს წარმოადგენდა. ასევე გადასახედი იყო პროგრამის სტრუქტურა ძირითადი და არჩევითი კურსების ნაწილში. მენეჯმენტის მოდულის ზოგიერთი არჩევითი კურსი გადატანილი უნდა ყოფილიყო ძირითადში, რადგან ისინი უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი პროგრამის სწავლის შედეგებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე ექსპერტს, ხომ არ სურდა რაიმე საკითხის დამატება, რაზედაც მან უპასუხა, რომ ძირითადი რეკომენდაციები გაჟღერებული იქნა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ ვიდეო ზარის ჩართვისას. თავად მზად იყო, ეპასუხა დამატებით კითხვებზე.

საბჭოს წევრი გელა გელაშვილი დაინტერესდა დასკვნაში მოცემული სტანდარტებისა და კომპონენტების შეფასებებთან დაკავშირებით. კერძოდ, დასკვნის მიხედვით, პირველი სტანდარტი იყო „ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, ხოლო შემდეგი 4 სტანდარტი შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან“. ვინაიდან, სტანდარტები და თითოეული კომპონენტი ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში იყო და გავლენას ახდენდა ერთმანეთის შეფასებებზე, აინტერესებდა, თუ როგორ მოხდა საბოლოოდ ამგვარი სახით შეფასებების განსაზღვრა. აღნიშნულ მოსაზრებას ასევე მხარი დაუჭირა საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჯანიძემ და აღნიშნა, რომ პირველი და მეორე სტანდარტი შინაარსობრივად გადაჯაჭვული იყო ერთმანეთთან და მასაც გაუჩნდა კითხვა განსხვავებული შეფასებების გამო.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ბექა მარუაშვილმა აღნიშნა, რომ იგი ექსპერტთა ჯგუფში ჩართული იყო დამსაქმებელი ექსპერტის სტატუსით. რაც შეეხებოდა თვითონ დასკვნის ნაწილების გაერთიანებისა და საერთო შეფასებების გაწერის საკითხს, ძირითადად ხელმძღვანელობდა ჯგუფის თავმჯდომარე. ამ მიზეზით, სამწუხაროდ, იგი ვერ გასცემდა დაზუსტებულ პასუხს. თუმცა, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ სტანდარტის შეფასებაზე გავლენას ახდენდა კომპონენტების შეფასების კომბინაცია. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იყო სტანდარტის საერთო შეფასება ამ განაწილებას გამოეწვია და ასეთი სახით საბოლოო შეფასება არ ნიშნავდა, რომ რომელიმე სტანდარტში შეფასება იყო არათანმიმდევრული.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პირველი სტანდარტის ნაწილობრივი შეფასება ძირითადად გამოწვეული იყო პროგრამის მიზნის არათანმიმდევრულად ჩამოყალიბების გამო. რეალურად, სტუდენტი სასწავლო კურსის შედეგზე გაჰყავდა სასწავლო კურსის სილაბუსს. პროგრამის მიზნის ფორმირება რეალურად ნაკლებად მოახდენდა გავლენას სტუდენტის სასწავლო კურსის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებზე. საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა გამოთქმულ მოსაზრებას.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა პროგრამაზე არსებული სტუდენტების ინგლისური ენის ფლობის დონით და მიმართა ექსპერტს მიეწოდებინა ინფორმაცია, თუ რა დონეზე საუბრობდნენ გასაუბრების დროს სტუდენტები. ექსპერტმა ბექა მარუაშვილმა განაცხადა, რომ სტუდენტების უცხო ენის ფლობის დონე იყო მაღალი. აღნიშნული სტუდენტების შერჩევა გასაუბრებისათვის მოხდა ცენტრის მიერ შემთხვევითი შერჩევით.

15:55 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 16:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული შეფასებები. ზეპირ მოსმენაზე დაწესებულების მიერ გამოთქმული შეფასებების შედეგად, ვერ მოხდა მყარი არგუმენტების მოსმენა, თუ რატომ შეიძლებოდა პირველი სტანდარტის უფრო მაღალ დონეზე შეფასება. შესაბამისად, ვინაიდან აკრედიტაციის ექსპერტების მიერ პირველი სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი, საბჭოს, აკრედიტაციის დებულების თანახმად კენჭისყრაზე უნდა დაეყენებინა

პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი. საბჭომ მიიჩნია, რომ ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება, პროგრამის ხარისხიანად განხორციელებისთვის იყო მნიშვნელოვანი.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3² პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.



3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი (ინგლისურენოვანი)
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვასა და აუდიტში 0201
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნიკოლოზ ყაველაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების შეჯამებისას გამოიკვეთა 2 ძირითადი მიმართულება. პირველი იყო პროგრამის მიზნების/სწავლის შედეგების ბევრი რაოდენობა, ეს იყო მთავარი არგუმენტირებული მოსაზრება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, რომელთან დაკავშირებით თავად არ ჰქონდა ჩამოყალიბებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მოიყვანა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო სწავლის შედეგები მიზერული რაოდენობის პირობებში. კერძოდ, მიზანშეწონილი იყო სწავლის შედეგების წარმოდგენა გამსხვილებული სახით, ხოლო დეტალიზებული სახით, შესაძლებელია ჩაშლილიყო სილაბუსებში. ამავე ეტაპზე მოხდა ერთ-ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (რომელთანაც შრომით ხელშეკრულებაში იმყოფებოდა იგი) საგანმანათლებლო პროგრამის შემოწმება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ. სწავლის შედეგების ფორმირების საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ამ დაწესებულებაშიც გააკეთა აქცენტირება.

ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი მაია გელაშვილი ჩაერთო საუბარში და აღნიშნა, ცენტრის რეკომენდაციაც ეს არის, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მაქსიმალური რაოდენობა უნდა იყოს 7. სწავლის შედეგების ფორმირების შესახებ რეკომენდაციები განიხილებოდა ასევე ცენტრის მიერ ორგანიზებულ ექსპერტთა და დაწესებულებების ტრენინგებზე. პროგრამის სწავლის შედეგი უნდა ყოფილიყო ფართო და ცალკეული საგნების დონეზე შესაძლებელი იყო დეტალურად გაწერა.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ პროგრამა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი იყო ძველი სტანდარტებით. ცენტრის ტრენინგებს მათი დაწესებულების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და რეკომენდირებული მიდგომები სწავლის შედეგების გაწერასთან დაკავშირებით, მათთვისაც მისაღები გახლდათ. მიმდინარე ეტაპზე მიმდინარეობდა მუშაობა სწავლის მიზნებისა და შედეგების ფორმირებასთან, სწავლების მეთოდებთან და დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჯანიძემ ასევე გამოთქვა მოსაზრება სწავლის შედეგების ფორმირებასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები უნდა ყოფილიყო გამსხვილებული სახით წარმოდგენილი და პერიოდულად თითოეული სწავლის შედეგი უნდა შეფასებულიყო. შემდგომ შესაძლებელი იყო სილაბუსებში კონკრეტული შედეგების გავრცობა. მაგრამ ეს გარემოება არ უნდა გამხდარიყო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის საფუძველი. ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელი იყო რჩევის გაცემა, და არა - რეკომენდაციის.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნიკოლოზ ყაველაშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ ეს საკითხი ლაიტმოტივად გასდევდა თავმჯდომარის შეფასებას, რადგან რეკომენდაციების ნაწილი ამ მოსაზრების საფუძველზე იყო ჩამოყალიბებული. კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში თავად ჰქონდა ნეიტრალური პოზიცია. მეორე საკითხი, რომელზეც მას სურდა ყურადღების გამახვილება, იყო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის, კერძოდ, BBA ბუღალტერიის (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვასა და აუდიტში) საკითხი. პროგრამის მიხედვით, პირველი 2 კურსი ისწავლებოდა ზოგადი, ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების საგნები. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად პროგრამის სტრუქტურაში საგნების განაწილება სხვაგვარად უნდა მომხდარიყო. მიზანშეწონილი გახლდათ ბიზნესის ადმინისტრირების ზოგადი მოდულის შემცირება და დარგობრივი სასწავლო კურსების მოცულობის გაზრდა. თუ მოთხოვნა იყო სპეციალობის (საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი) კვალიფიკაციით კადრებზე (რა მიზეზითაც იყო ეს პროგრამა შეთავაზებული), ეს პროგრამაში არ ჩანდა. პროგრამაში დომინირებდა ბიზნესის ადმინისტრირების ზოგადი საგნები და არ იყო გამოკვეთილი დარგობრივი მოდული. ამას გარდა, ამ დარგობრივ საგნებს ძირითადად ახორციელებდა მოწვეული პერსონალი. მიზეზი გასაგები გახლდათ, ბიზნესის ადმინისტრირების საგნებში დაწესებულებას თავისი აკადემიური პერსონალი ყავდა, ხოლო დარგობრივი საგნების განხორციელებისათვის, მოწვეულ იყო პრაქტიკოსი პერსონალი. მოწვეულ პერსონალს ჰქონდა დარგში პრაქტიკული გამოცდილება და მათ ძალიან დიდი შრომა ჩადეს პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. თუმცა დარგობრივი სასწავლო კურსები ძალიან დამოკიდებული იყო პრაქტიკოს, მოწვეულ პერსონალზე და პროგრამის

მდგრადობის საკითხი განსახილველი გახდებოდა. ამიტომ, პროგრამის განხორციელებისათვის დარგში აკადემიური პერსონალის არსებობა, ექსპერტთა ჯგუფისათვის იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება და გაცემულ იქნა რეკომენდაცია. ექსპერტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ პროგრამის სტრუქტურის ცვლილების შედეგად დარგობრივი მოდული უნდა გაძლიერებულიყო. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, მიზანშეწონილი იყო ისეთი სასწავლო მასალების დამატება, რომელიც ფარავდა ACCA და CFA კურიკულუმებით შემუშავებულ საკითხებს. ამას გარდა, გასარკვევი იყო მისანიჭებელი კვალიფიკაციის საკითხი, რაში შეიძლებოდა მინიჭებოდა აკადემიური ხარისხი, BBA საბუღალტრო აღრიცხვაში (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვასა და აუდიტში) თუ პირდაპირ დარგის დონეზე (საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის ბაკალავრი).

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ დარგის დონეზე (საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი) წარმოდგენილ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე აქცენტი გააკეთეს ბიზნესის ადმინისტრირების საგნებზე. ისინი გარკვეულწილად ეთანხმებოდნენ ექსპერტთა მოსაზრებას პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით, რადგან პროგრამის კვალიფიკაცია იყო ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში. თუმცა ჰქონდათ საკმარისი რაოდენობა საბუღალტრო აღრიცხვის საგნებისა.

პროგრამის ხელმძღვანელმა დამატებით ისაუბრა პროგრამაში არსებულ დარგობრივ კურსებზე. აღნიშნა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციით არჩევითი სასწავლო კურსები შესაძლებელია გადატანილიყო ძირითად მოდულში. მიმდინარე ეტაპზე სტუდენტებს არჩეული ჰქონდათ გადასახადებისა და საბუღალტრო აღრიცხვის არჩევითი კურსი. იმ შემთხვევაში, თუ ამ კურსის არჩევა სტუდენტების მიერ გამეორდებოდა, მაშინ მას გადაიტანდნენ ძირითად მოდულში.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დარგში მოღვაწე პრაქტიკოს პერსონალს მიანიჭეს უპირატესობა, რადგან პრაქტიკოსი პერსონალი არის უფრო კომპეტენტური შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პედაგოგი აღარ მოისურვებდა პროგრამაში ჩართვას, მათ ჰქონდათ დამატებითი გეგმა, რაც ბიზნესის უწყვეტობის გეგმაში იყო გათვლილი.

ექსპერტმა ნიკოლოზ ყაველაშვილმა დამატებით განმარტა, რომ თუ პროგრამა ხორციელდება ბუღალტერიასა და აუდიტში, მაშინ დარგობრივი აკადემიური პერსონალი მინიმალური სახით მაინც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. დაწესებულების წარმომადგენლებმა დამატებით აღნიშნეს, რომ არ პერსონალის მოძიების კუთხით კიდევ გააგრძელებდნენ მუშაობას.

ექსპერტმა ნიკოლოზ ყაველაშვილმა ისაუბრა პრაქტიკოსი მოწვეული პერსონალის დადებით მხარეზე და მიუთითა, რომ სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ იმ ორგანიზაციებში, რომლებშიც მუშაობდა მოწვეული პერსონალი. ფინანსურად პროგრამები უზრუნველყოფილია და დაწესებულების მიერ განხორციელებულ არცერთ პროგრამას არ ჰქონდა ფინანსური შეფერხება.

საბჭოს წევრი სოფიკო ლობჯანიძე დაინტერესდა არსებული კურსები უზრუნველყოფდნენ თუ არა პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლას. ამ კუთხით თუ იყო მსჯელობა ჩატარებული ექსპერტთა მიერ.

ექსპერტმა ნიკოლოზ ყაველაშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგებზე სტუდენტი გაყავდა სილაბუსებს. რეალურად, სილაბუსებში სწავლის შედეგები რაც არის მოცემული, იგივეა გადატანილი პროგრამის მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყო პროფესიაში დასაქმებული პერსონალი, ისინი უნივერსიტეტში ზრდიდნენ თავიანთ მომავალ თანამშრომლებს, მათი სურვილი იყო, რომ ესწავლებინათ ახალგაზრდებისათვის დარგობრივი საკითხები და შემდგომ წაეყვანათ მათივე თანამშრომლად აუდიტორიულ კომპანიაში. ეს ფაქტორი იყო ძალიან მნიშვნელოვანი. მათი პროგრამით უკმაყოფილო პერსონალი, რომელიც თავად დამსაქმებელს წარმოადგენდა, არ აიყვანდა თანამშრომლად მათი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ისაუბრა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელზე.

ექსპერტმა ნიკოლოზ ყაველაშვილმა გამოთქვა იმედი, რომ პროგრამა მომავალში გაძლიერდებოდა. მან შეაჯამა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებები: მეტი სპეციალობის/დარგის სასწავლო კურსების არსებობა პროგრამაში ზოგადი ბიზნესის ადმინისტრირების საგნების შემცირების ხარჯზე. დარგობრივი პერსონალის გაძლიერება აკადემიური პერსონალით. რაც შეეხებოდა პროგრამის სწავლის შედეგებს, ამასთან დაკავშირებით ზოგადად ფუნდამენტური მიდგომები უნდა ჩამოყალიბებულიყო სხვადასხვა მხარეთა თანამშრომლობით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილებას დააფუძნებდა, როგორც ექსპერტთა შეფასებას, ასევე საჯარო განხილვის დროს გამოვლენილ გარემოებებს. აკრედიტაციის საბჭო მიიჩნევდა, რომ პირველ სტანდარტი შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან. აღნიშნულ შეფასების მიზეზი გახლდათ საგანმანათლებლო პროგრამაში ფორმირებული მიზნისა და სწავლის შედეგების დახვეწის საჭიროება. როგორც ზეპირ მოსმენაზე გამოიკვეთა, სილაბუსებში რეალურად გამართულად იყო გაწერილი მიზნები, ასევე სწავლის შედეგები და შეესაბამებოდა სასწავლო კურსის შინაარსსა და სირთულეს და სტუდენტის მიერ შესაძლებელი იყო სწავლის შედეგების მიღწევა. საბჭოს მოსაზრებით, დაწესებულებას უნდა ეზრუნა მიზნებისა და სწავლის შედეგების ფორმირების საკითხთან დაკავშირებით მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში.

გარდა ამისა, აკრედიტაციის საბჭო მიიჩნევდა, რომ მეორე სტანდარტი ასევე შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. საბჭოს სხდომის დროს გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დასტურდებოდა, რომ დაწესებულება გამოხატავდა განვითარების მზაობას და მიმდინარეობდა შესაბამისი სამუშაოები, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემული სწავლის მეთოდები

შესაბამისობაში მოეყვანა კომპონენტის თავისებურებებთან, ასევე სასწავლო კომპონენტების დაშვების წინაპირობები ლოგიკურ კავშირში ყოფილიყო კომპონენტების შინაარსთან.

შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ აკრედიტაციის პირველი და მეორე სტანდარტები მიზანშეწონილი იყო შეფასებულებით მეტწილად შესაბამისა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია. საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 1 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 1 წლის განმავლობაში პროგრამაზე ასევე განხორციელებულიყო მონიტორინგი და გადამოწმებულიყო გამოსწორდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას განუცხადა, რომ ამ დროის მანძილზე უნდა ეზრუნათ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებაზე.

4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მარკეტინგი (ინგლისურენოვანი)
კვალიფიკაციის დონე	მე-6 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში 0202
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნინო ზარნაძემ ისაუბრა ვიზიტის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ ძირითად მოსაზრებებზე. აღნიშნა, რომ დაწესებულება პროგრამას ახორციელებდა 2000 წლიდან, პროგრამამ განიცადა გარკვეული ტრანსფორმაციები, პროგრამაში ბოლო ცვლილებები განხორციელდა 2017 წელს. კურსდამთავრებულები დასაქმებულები იყვნენ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ასევე აღსანიშნავი იყო, რომ დაახლოებით 40% აგრძელებენ სწავლას განათლების შემდგომ საფეხურზე, რაც დადებით შემთხვევას წარმოადგენდა. დამსაქმებელი აფასებდა კურსდამთავრებულებს, როგორც თანამედროვე, საჭირო კომპეტენციებისა და უნარების მქონე დამწყებ სპეციალისტებს, რომელიც ასევე მაღლე დონეზე ფლობდნენ ინგლისურ ენას და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. ვიზიტის დროს გამოიკვია, რომ დაწესებულებას ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი მუდმივად მუშაობდა პროგრამის დახვეწა-განვითარებაზე. ეს მუშაობა იყო გუნდური, და რაც მთავარია, იყო ორიენტირებული სტუდენტის ინტერესებზე, - მიეღოთ მაღალი დონის განათლება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილი იყო მაღალი კვალიფიკაციის მქონე დარგში მოღვაწე პერსონალით, რომლებიც მუდმივად ჩართულები იყვნენ დარგში არსებულ ნოვაციებში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას და ყოველწლიურად ატარებდა სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისათვის საერთაშორისო კონფერენციებს. ამას ხელს უწყობდა პროგრამის ბიუჯეტი, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი კომპონენტები, რაც ამავდროულად ამტკიცებდა, რომ პროგრამა მდგრადი იყო, ჰქონდა რესურსი და პოტენციალი განვითარებისათვის. შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფილი იყო უმაღლესი განათლების მიღებისათვის ყველა საჭირო რესურსით.

ექსპერტის განცხადებით, სასწავლო გარემო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბიბლიოთეკო რესურსი, იძლეოდა შესაძლებლობას პროგრამის მაღალი ხარისხით განხორციელებისათვის. უნივერსიტეტს შეძენილი ჰქონდა ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა უნივერსიტეტის მაღალ მოტივაციას, მხარი დაუჭიროს ქვეყანაში არსებულ ტენდენციებს საგანმანათლებლო სფეროში.

ექსპერტმა მიერ მე-3 და მე-4 სტანდარტი შეფასებული იყო როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ხოლო მე-5 სტანდარტში იყო შეფასება „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. რასაკვირველია, ნებისმიერ სხვა პროგრამას, რომელიც ტრანსფორმაციულ პერიოდში იყო, საკითხები იქნებოდა დასახვეწი. ამიტომ, პირველ და მე-2 სტანდარტში, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ უმჯობესი იქნებოდა გარკვეული ცვლილებების შეტანა.

ექსპერტის შეფასებით, იგი მიიჩნევდა, რომ შეფასება, რაც გააკეთა ექსპერტმა ჯგუფმა, იყო სამართლიანი, თუმცა მისი მოსაზრებით, როდესაც მას ჰქონდა სხვა შეფასებებშიც მონაწილეობა მიღებული, ალბათ უფრო შეეცდებოდა, რომ პირველი და მეორე სტანდარტების შეფასებისას ყოფილიყო შედარებით რბილი, მაგრამ, ეს არ გამორიცხავდა იმას, რომ პირველ და მეორე სტანდარტში მათ ჰქონდათ ნაწილობრივი შესაბამისობა. ექსპერტის შეფასებით, დასაფასებელი იყო ის შრომა, რომელიც ჩადებულ იქნა ამ პროგრამის განხორციელებისა და თვითშეფასების ანგარიშის შედგენისას, თუმცა, პროგრამა საჭიროებდა დახვეწასა და განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარე ჩაერთო საუბარში და განაცხადა, რომ აინტერესებდა 2 საკითხი, ამ უნივერსიტეტის საქმიანობა საბჭოს წევრებისათვის ცნობილი იყო, რადგან მათი პროგრამების აკრედიტაციის საკითხები განიხილებოდა ბოლო პერიოდში. ასეთივე ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ საბჭოს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება. ამჟამად განიხილებოდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი. ეს რეკომენდაციები და ეს შეფასება უფრო მძიმე იყო იმასთან შედარებით, რაც გაკეთდა ქართულენოვან ანალოგიურ პროგრამაზე. აქ გაწერილი პირველი და მეორე რეკომენდაცია იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და უშუალოდ ეხებოდა პირველ სტანდარტს. პირველი სტანდარტი მეორე სტანდარტთან ერთად წარმოადგენდა გარკვეულწილად ამოსავალს მთლიანი პროგრამის შეფასებისას. დასკვნაში აღნიშნული იყო პროგრამის მიზნისა და ამოცანების ხელახალი განხილვა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და დარგობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობა. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, - სასწავლო პროგრამის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების

შესაბამისად გადაკეთება. ეს ორი რეკომენდაცია იმდენად მძიმე იყო, რომ ეს შეფასება არ შეიძლება ყოფილიყო ნაწილობრივი. თუ პროგრამას მისანიჭებელ კვალიფიკაციათან, მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე ჰქონდა პრობლემა, თუკი პროგრამას ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის სჭირდებოდა ცვლილებების შეტანა, გამორიცხული იყო, რომ პროგრამას აკრედიტაცია დადებითი შედეგით დასრულებულიყო. ამიტომაც საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტ დამატებითი არგუმენტები წარედგინა ამ ორ საკითხთან დაკავშირებით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნინო ზარნაძემ აღნიშნა, რომ პირველ სტანდარტთან დაკავშირებული საკითხები იყო გამოსწორებადი, მიზნები იყო ჩამოსაყალიბებელი. მაგალითისათვის შეიძლება მოყვანა ასეთი შემთხვევა, მარკეტინგის საფუძვლების კურსის სილაბუსს თუ განიხილავდნენ, შეიძლებოდა გაკეთებულიყო დასკვნა, კურსის შინაარსი შეესაბამებოდა საბოლოო შედეგებს და ზოგადად მიზანს, მაგრამ სხვა თვალთა თუ შეხედავდნენ ამ საკითხს, შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო მარკეტინგის საფუძვლები, არამედ წარმოადგენდა მარკეტინგის პრინციპებს. ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ მისი პირადი აზრი იყო, რომ ექსპერტების შენიშვნები იყო გამოსწორებადი და უმნიშვნელო, ამიტომ, პროგრამას, მის მიზნებს და შედეგებს არ აყენებდა კითხვის ნიშნის ქვეშ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ როგორც ექსპერტის საუბრიდან ირკვეოდა, პროგრამის მყარი საფუძველი იყო გამართული სილაბუსები. ამიტომ მისთვის გასაგები გახლდათ ეს გარემოება, ტექნიკური საკითხები კი ძირითად სურათს და შედეგს არ შეცვლიდა.

ექსპერტმა ნინო ზარნაძემ განმარტა, რომ სილაბუსებს რეალიზებას უკეთებდა არაჩვეულებრივი პერსონალი, რომელიც უძღვებოდა სასწავლო პროცესს, დაწესებულებაში ყველაწარმოადგენდა იყო იმისათვის, რომ პროცესი არ შეჩერებულიყო, ეს პერსონალი იყო მუდმივად მზარდი, პროგრამას ჰქონდა ფინანსური რესურსი საიმისოდ, რომ უზრუნველყოფილიყო პროგრამის განხორციელება. საბჭოს თავმჯდომარე განმარტა, რომ ამგვარი პასუხი მისთვის იყო მისაღები.

საბჭოს წევრმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნები, ადგილობრივი ექსპერტისათვის იქნებოდა უფრო ნაცნობი, ვიდრე უცხოელი ექსპერტისათვის, ამიტომ ამ საკითხს ადგილობრივი ექსპერტი უფრო სწორად შეაფასებდა. ექსპერტმა ნინო ზარნაძემ აღნიშნა, რომ ამ პროგრამის შეფასების დროს, იყო დამწყები ექსპერტი, ხოლო ამ ეტაპზე მას შეეძლო გაეცა საბჭოსათვის პასუხები და თავისთავზე აელო პასუხისმგებლობა.

საბჭოს წევრი გაიანე სიმონია დაინტერესდა იმ შემთხვევით, როცა პროგრამას აფასებდა ექსპერტთა ჯგუფი და მათ ჰქონდათ განსხვავებული მოსაზრებები. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე იყო ძალიან საპატიო დარგში მოღვაწე უცხოელი ექსპერტი, ადგილობრივ ექსპერტს ჰქონდა გარკვეული განსხვავებული არგუმენტები მოსაზრებები. დაინტერესდა, როგორ ხდებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციების/რჩევების ჩამოყალიბება. დაინტერესდა, რადგან ჯგუფის თავმჯდომარე გახლდათ უცხოელ ექსპერტი, მისი მოსაზრებები დომინირებდა თუ არა. დამატებით აღნიშნა, რომ კითხვა გაუჩნდა ექსპერტთა ჯგუფის განსხვავებული პოზიციები საბჭოზე უნდა

განხილულიყო თუ არა, შესაძლებელია სჯობდა თავად ექსპერტთა ჯგუფს შორის მომხდარიყო ამგვარ საკითხებზე შეთანხმება.

ექსპერტმა ნინო ზარნაძემ განაცხადა, რომ იღებდა პასუხისმგებლობას თავისი მოსაზრებების დაფიქსირებაზე საბჭოს წინაშე. ეს იყო მისთვის პირველი გამოცდილება, ამიტომ მან არ მისცა თავის თავს უფლება, რომ მკვეთრად გამოეხატა თავისი პოზიცია, თუმცა მას შემდეგ მის მიერ იყო განხორციელებული შეფასებები, მას ჰქონდა შედარებების უნარი და ახლა მის წინაშე იდგა შეფასების სრული სურათი. ახლა უკვე განხორციელებული ვიზიტების გადასახედიდან, მას შეეძლო შეეფასებინა და გაემიჯნა პროგრამები, რომლებსაც არ ჰქონდათ განხორციელების შესაძლებლობები, ან პირიქით - განვითარების შესაძლებლობა ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, ხომ არ ჰქონდა შინაარსობრივ საკითხებთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამაში არსებული სასწავლო კურსი შესავალი ტურიზმში, შესაძლებელი იყო ჩანაცვლებულიყო სხვა საკითხებით. ასევე, მისი მოსაზრებით, ზოგიერთი საბაზისო არჩევითი საგანი შესაძლებელი იყო (მაგალითად online მარკეტინგი) გადმოტანილიყო ძირითად სასწავლო კურსების მოდულში. ასევე, ფინანსების კურსი შესაძლებელია ამოღებულ ყოფილიყო პროგრამიდან მისი შინაარსის შეუსაბამობის გამო. რადგან ბიზნეს ადმინისტრირების კონკრეტულ დარგზე საუბრობდნენ, გონივრული იქნებოდა მარკეტინგის სპეციალისტი არ დაუფლებოდა ფინანსების საფუძვლებს. ამ მოსაზრებებს დაწესებულება თუ გაითვალისწინებდა, პროგრამა გაუმჯობესდებოდა. ეს იქნებოდა სწორი ნაბიჯი, ეროვნული და საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე. საგანმანათლებლო სისტემა წარმოადგენდა კონკურენტუნარიან ინსტიტუციას, ამიტომ ფიქრობდა მათი რეკომენდაციების მიზანშეწონილობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოეთქვათ თავისი მოსაზრებები.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების შედეგად, დაწესებულების მიერ პროგრამა დანახული იქნა სხვა ჭრილში. ექსპერტთა მოსაზრებები დაწესებულებისათვის იყო მისაღები, დაწესებულება ორიენტირებული გახლდათ განვითარებაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინება გაუმჯობესებდა პროგრამას. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემულ შეფასების მეთოდებზე, რათა ისინი შესაბამისობაში ყოფილიყვნენ კომპონენტის თავისებურებებთან. ასევე, მუშაობა მიმდინარეობდა, რომ სასწავლო კომპონენტების დაშვების წინაპირობები ლოგიკურ კავშირში ყოფილიყო კომპონენტების შინაარსთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომის მონაწილეებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრმა ნათელა სახოკიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ექსპერტთა ჯგუფში უნდა მომხდარიყო მოსაზრებების გაზიარება/შეთანხმება. ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა, მაია გელაშვილმა ისაუბრა ცენტრში არსებული პრაქტიკის შესახებ, აღნიშნა, რომ როდესაც დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრი აწერდა ხელს,

ამით დასტურდებოდა, რომ მოსაზრებებს ეთანხმებოდნენ. იმ შემთხვევაში, როცა ექსპერტს ჰქონდა განსხვავებული მოსაზრება, მას შესაძლოა განსხვავებული აზრი დაერთო დასკვნისთვის.

საბჭოს წევრმა სოფიკო ლობჯანიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ამგვარი ურთიერთობის შესაძლებლობის შესახებ ცენტრს ინფორმაცია შეიძლებოდა მიეწოდებინა ექსპერტებისათვის ყოველი წინასწარი მოსამზადებელი შეხვედრის დროს. ექსპერტმა ნინო ზარნაძემ აღნიშნა, რომ ეს მისთვის იყო კარგი გამოცდილება. მას არ ეპარებოდა ეჭვი თავმჯდომარის კომპეტენციაში. ის აღიარებდა, რომ დასკვნაზე ხელმოწერით დაადასტურა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებზე თანხმობა.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მოცემულ შეფასებებზე დაყრდნობით, შესაძლებელი იყო საბჭოს შეფასება უფრო მძიმე ყოფილიყო. რაც ამ სხდომის მიმდინარეობის პროცესში გამოვლინდა, შეფასება „ნაწილობრივი შესაბამისობის“ დონის არ იყო.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ რჩევით მიმართა ექსპერტს, რომ სხვა უნივერსიტეტებთან შეფარდებით არ მოეხდინათ შეფასება და ყოველი შეფასების დროს ყოფილიყო დამოუკიდებელი შედარებებისგან. რადგან სხვა პროგრამა შესაძლებელია ყოფილიყო ცუდი და შედარების შედეგებზე განხორციელებული შეფასება ვერ იქნებოდა ობიექტური.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება დაეფუძნებოდა, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტური მასალის გაანალიზებას, ასევე საჯარო განხილვის დროს გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებს. აკრედიტაციის საბჭო მიჩნევდა, რომ პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასება შესაძლოა ყოფილიყო მეტწილად შესაბამისი, ვინაიდან, როგორც ზეპირ მოსმენაზე გამოიკვეთა პროგრამა უზრუნველყოფილი იყო უმაღლესი განათლების მიღებისათვის ყველა საჭირო რესურსით. ექსპერტების რეკომენდაციები იყო მცირე პერიოდში გამოსწორებადი და უმნიშვნელო. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მყარი საფუძველი იყო გამართული სილაბუსები. ამავდროულად, გასათვალისწინებელი იყო გარემოება, რომ თავად ექსპერტთა ჯგუფში არსებობდა არაერთგვაროვანი მოსაზრება სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში. საბჭოს წევრთა მოსაზრებით, დაწესებულებას უნდა ეზრუნა მიზნებისა და სწავლის შედეგების ფორმირების საკითხთან დაკავშირებით მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში.

აკრედიტაციის საბჭოს მოსაზრებით, მეორე სტანდარტიც შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან. საბჭოს სხდომის დროს გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დასტურდებოდა, რომ დაწესებულება გამოხატავდა მზაობას და მიმდინარეობდა შესაბამისი სამუშაოები, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემული შეფასების მეთოდები შესაბამისობაში მოეყვანა კომპონენტის თავისებურებებთან, ასევე სასწავლო კომპონენტების დაშვების წინაპირობები ლოგიკურ კავშირში ყოფილიყო კომპონენტების შინაარსთან. გარდა ამისა, აკრედიტაციის საბჭო ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებას მეხუთე სტანდარტთან მიმართებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 1 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო შუამდგომლობდა ცენტრის წინაშე, რომ 1 წლის ვადაში პროგრამაზე განხორციელებულიყო მონიტორინგი და გადამოწმებულიყო გამოსწორდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები. საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას განუცხადა, რომ ამ დროის მანძილზე უნდა ეზრუნათ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებაზე.

17:30 საათზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ირაკლი ბურდული



მდივანი

ლევან გორდეზიანი

